



## საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000086678925319

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46  
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 27

06 / ივნისი / 2019 წ.

### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ დუისში, მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე 15.2კვ.მ ფართის სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა.“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-6 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

### გ ა დ ა ნ წ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს პირდაპირი განკარგვის წესით, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ დუისში, მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე 15.2კვ.მ ფართის (ორი ოთახი) სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურისთვის ათი წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა. საკადასტრო კოდი 50.05.34.260.
2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია  
ელმეპროწულად



თამარ ყვინიშვილი